ლიტერატურა:

1.საქართველოს კონსტიტუცია

2. კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“

3. ადმინისტაციული კოდექსი

4. გარემოს დაცვის სამინისტროს წლიური ანგარიშები

5.Khantadze A, Gzirishvili T, Arveladze G, On the Mathematical Model of Sustainable Development of Georgia. Proceedings of the Institute of Hydrometeorology, Tbilisi, 20022, vol. 104, pp. 112-117

Legal Basis for Ecological and Sustainable Development

D. Chkhirodze, R. Lortkipanidze, N. Chachkhiani

Summary

Regulating a stable and balanced state of ecological and sustainable development requires a defined law, which will be based on the country's constitution and international and local norms.The law finds its full development only in democratic conditions. It is affirmed as the highest law, i.e. a legal state is created.

საქართველოს დემოგრაფიული და ურბანული განვითარების თანამედროვე გამოწვევები

ნანა ბერძენიშვილი
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია

აბსტრაქტი: *ნაშრომი განიხილავს საქართველოს დემოგრაფიული და ურბანული განვითარების თანამედროვე გამოწვევებს. კვლევის მიზანია მოსახლეობის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებების, ურბანიზაციის პროცესების, შიდა მიგრაციისა და მოსახლეობის სივრცითი განაწილების თანამედროვე ტენდენციების ანალიზი. ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი და შედარებითი კვლევის მეთოდები, ხოლო ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის 2024 წლის კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყანაში გრძელდება მოსახლეობის კონცენტრაცია ურბანულ დასახლებებში, განსაკუთრებით თბილისში, რაც ერთდროულად განაპირობებს ეკონომიკური აქტივობის ზრდას და რეგიონული განვითარების უთანასწორობის გაღრმავებას. დემოგრაფიული დაბერება, მიგრაციული პროცესები და სოფლის მოსახლეობის შემცირება რჩება ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან გამოწვევებად. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს დაბალანსებული რეგიონული და ურბანული პოლიტიკის მნიშვნელობას საქართველოს მდგრადი და სულიერი განვითარებისათვის.*

საკვანძო სიტყვები: *დემოგრაფია, ურბანიზაცია, მოსახლეობის აღწერა, მიგრაცია, აღწარმოება.*

თანამედროვე მსოფლიოში დემოგრაფიული და ურბანული პროცესები სახელმწიფოთა განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევა. მოსახლეობის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებები, მიგრაციული ნაკადების

ინტენსივობა და ურბანიზაციის მასშტაბები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ, ეკონომიკურ და სივრცით განვითარებაზე. საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის დაბერება, შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების ცვლილება, ასევე შიდა და საერთაშორისო მიგრაციის პროცესები. ამავდროულად, ურბანიზაციის გაძლიერებამ ხელი შეუწყო მოსახლეობისა და ეკონომიკური აქტივობის კონცენტრაციას მსხვილ ქალაქებში. წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოს დემოგრაფიული და ურბანული განვითარების თანამედროვე ტენდენციების განხილვა, არსებული გამოწვევების ანალიზი და იმ ფაქტორების შეფასება, რომლებიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და სივრცით განვითარებაზე ახდენენ გავლენას. 2024 წლის დემოგრაფიული აღწერის ფარგლებში შეგროვდა მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა 1990-იანი წლების დასაწყისიდან შეინიშნება. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში განვითარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოსახლეობის რაოდენობრივ და სტრუქტურულ მახასიათებლებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფართომასშტაბიანი მიგრაციული ნაკადები, რომელთა შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირდა. აღნიშნულ პროცესს თან ახლდა როგორც შობადობის, ისე სიკვდილიანობის მაჩვენებლების კლება, რამაც ქვეყნის დემოგრაფიული დინამიკა არსებითად შეცვალა.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი მიუთითებს ასაკობრივი ჯგუფების თანაფარდობის ცვლილებაზე. 2002–2025 წლებში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი შემცირდა როგორც ქალებში, ისე კაცებში. კერძოდ, ქალების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 15.3 %-დან 10.4 %-მდე შემცირდა, ხოლო კაცებში – 10.9 %-დან 6.2 %-მდე. სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით, საქართველო იმეორებს მსოფლიო დემოგრაფიული განვითარებისათვის დამახასიათებელ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც დაბადებისას ბიჭების რაოდენობა აღემატება გოგონების რაოდენობას. 2024 წლის მონაცემებით, ახალშობილთა შორის ბიჭების წილი 52.2 პროცენტს შეადგენდა. შედეგად, ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებში კაცების რაოდენობა ქალების რაოდენობას აღემატება. თუმცა, დაახლოებით 30 წლის ასაკიდან ეს თანაფარდობა იცვლება და ქალების რიცხოვნობა უფრო მაღალი ხდება, რაც კაცებში სიკვდილიანობის შედარებით მაღალი მაჩვენებლით არის განპირობებული.

2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 929 581 კაცი შეადგინა, რაც 2014 წლის აღწერის მონაცემებთან (3 713 804 კაცი) შედარებით 5.8 %-ით (215 777 კაცი) მეტია.


წელი	მოსახლეობა		ცოცხლად დაბადებულები		გარდაცვალება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
2014	1 945[1)]	1 777[1)]	29	31	24	25
2024	1 924[2)]	1 781[2)]	19	21	21	23

წელი	იმიგრანტები		ემიგრანტები	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
2014	33	49	37	52
2024	55	81	49	73

ცხრილი 1. საქსტატის მონაცემები

2024 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 47.9 პროცენტს კაცები შეადგენენ (1 881 004), ხოლო 52.1 პროცენტს – ქალები (2 048 577). 2014 წელთან შედარებით 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 3.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 17.6 პროცენტი შეადგინა (692 700 კაცი). 0–14 წლის ასაკობრივი ჯგუფის წილი 1.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 19.6 პროცენტი შეადგინა (770 823 კაცი). 15–64 წლის ასაკობრივი ჯგუფის წილი. 4.3 პუნქტით შემცირდა და 62.8 პროცენტი შეადგინა (2 466 058 კაცი).


2024 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეთა რიცხოვნობა 2014 წელთან შედარებით 2.5 პროცენტით გაიზარდა და 3 304 075 კაცი შეადგინა. თუმცა, მთლიან მოსახლეობაში ეროვნებით ქართველი მოსახლეობის წილი 86.8 %-დან 84.1 %-მდე შემცირდა. საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რიცხოვნობამ 133 857 კაცი შეადგინა. მეორე უმსხვილეს ეთნიკურ ჯგუფს 268 832 კაცით (6.8 %) აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, რომელთა რიცხოვნობა 15.4 %-ით გაიზარდა, ხოლო მესამე ჯგუფს 169 296 კაცით (4.3 %) ეროვნებით სომეხი მოსახლეობა წარმოადგენს, რომელთა რიცხოვნობა 2014 წლის აღწერასთან შედარებით 0.7 %-ითაა გაზრდილი. ეროვნებით რუსი მოსახლეობის რაოდენობა აღწერათაშორის პერიოდში 60.8 %-ით გაიზარდა და 42 545 კაცი შეადგინა. ინდოელი ეროვნების მოსახლეობა 446 კაციდან 23 996 კაცამდე გაიზარდა. უკრაინელთა რიცხოვნობა 139.4 პროცენტით გაიზარდა და 14 443 კაცი შეადგინა. არაბი ეროვნების მოსახლეობა 609 კაციდან 12 533 კაცამდე, ბელარუსელთა რიცხოვნობა 431 კაციდან 4 558 კაცამდე, ხოლო ირანელთა რიცხოვნობა 217 კაციდან 4 304 კაცამდე გაიზარდა. აფხაზი ეროვნების მოსახლეობა 5 %-ით გაიზარდა და 907 კაცი შეადგინა. ამავე პერიოდში ოსი ეროვნების მოსახლეობა 12.3 %-ით შემცირდა და 12 611 შეადგინა, ხოლო იეზიდთა რაოდენობა 7.0 %-ითაა შემცირებული და 11 324 კაცი შეადგინა.



სურათი 1. საქსტატის მონაცემები


ბოლო წლებში სტაბილურობით ხასიათდება დაბადებულთა სქესობრივი თანაფარდობაც. 2024 წლისთვის ყოველ 100 გოგონაზე დაახლოებით 110.8 ბიჭი იბადებოდა. ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოა მესამე რიგითობის ბავშვებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ცვლილება. აღნიშნულმა მაჩვენებელმა მაქსიმალურ მნიშვნელობას 2006 წელს მიაღწია და 141 შეადგინა, თუმცა შემდგომ პერიოდში მისი თანმიმდევრული შემცირება დაფიქსირდა. 2024 წლისთვის ეს მაჩვენებელი 118-მდე შემცირდა, რაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის შემცირებაზე და ამ მიმართულებით არსებულ პოზიტიურ ცვლილებებზე მიუთითებს.

საქართველოს მოსახლეობაში ყველაზე მაღალია 35-39 (7.6 პროცენტი), 10-14 (7.4 პროცენტი) და 30-34 (7.2 პროცენტი) ასაკობრივი ჯგუფების მოსახლეობა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქალების წილი განსაკუთრებით მაღალია 85 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, კერძოდ, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ქალების რიცხოვნობა 2.6-ჯერ აღემატება კაცების რიცხოვნობას.




სურათი 2. საქსტატის მონაცემები

განსხვავება ნათლად აისახება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებელშიც. საქართველოში ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 79 წელს შეადგენს, ხოლო კაცების – 71 წელს. სქესთა შორის არსებული განსხვავება, საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ქცევით ფაქტორებს, მათ შორის ალკოჰოლის მოხმარების, თამბაქოს გამოყენებისა და სხვადასხვა რისკიან საქმიანობაში მონაწილეობის უფრო მაღალ მაჩვენებლებს კაცებში.




სურათი 3. საქსტატის მონაცემები

საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას კვლავაც ახდენს მიგრაცია. მოსახლეობის მობილობა განსაკუთრებით მაღალია კაცებში. 2024 წლის მონაცემებით, კაცები შეადგენდნენ როგორც იმიგრანტთა, ისე ემიგრანტთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 60 პროცენტს.



სურათი 4-5. საქსტატის მონაცემები

დემოგრაფიული ქცევის ცვლილებებს ასახავს ქორწინების საშუალო ასაკის ზრდაც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში რეგისტრირებული ქორწინების საშუალო ასაკი სტაბილურად გაიზარდა. ქალების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 2014 წლის 28.1 წლიდან 2024 წლისთვის 32.4 წლამდე გაიზარდა, ხოლო კაცებში – 31.3 წლიდან 34.8 წლამდე. ეს ტენდენცია ოჯახისა და ქორწინების მოდელების ტრანსფორმაციაზე, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მზარდ გავლენაზე მიუთითებს.



პირველი განქორწინება განმეორებითი განქორწინება

სურათი 6-7. საქსტატის მონაცემები


2024 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ქალაქის მოსახლეობამ შეადგინა 2 455 444 კაცი (62.5 პროცენტი), ხოლო სოფლის მოსახლეობამ – 1 474 137 კაცი (37.5 პროცენტი). საქალაქო დასახლებებში მოსახლეობის ზრდამ 15.7 პროცენტი (332 821 კაცი), ხოლო სოფლის მოსახლეობის კლებამ 7.4 პროცენტი (117 044 კაცი) შეადგინა. შედეგად, 2014 წლის აღწერასთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქი/სოფლის სტრუქტურა – ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 5.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და

62.5 პროცენტს გაუტოლდა.


2024 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ქ. თბილისში მოსახლეობის რიცხოვნობა 1 331 485 კაცით განისაზღვრა, რაც 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებულ მონაცემებს 20.1 %-ით (222 768 კაცი) აღემატება. 2014 წლის აღწერასთან შედარებით, მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მატება, ქ. თბილისის გარდა, დაფიქსირდა აჭარის ა.რ.-ში (20.7 პროცენტი) და ქვემო ქართლის რეგიონში (4.2 %). დანარჩენ რეგიონებში მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებელი შემცირდა, კერძოდ: ყველაზე მეტი კლება დაფიქსირდა გურიის რეგიონში – 9.7 % და სამეგრელო-ზემო სვანეთში – 7.6 %. მნიშვნელოვანი შემცირება შეინიშნება ასევე რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (6.8 პროცენტი), კახეთში (4.6 %) და იმერეთში (4.3 %).

2014 წლის აღწერასთან შედარებით, ყველაზე მაღალი ზრდა ქ. ბათუმში დაფიქსირდა, სადაც მოსახლეობის რიცხოვნობა 54.2 პროცენტით გაიზარდა და 235 668 კაცი შეადგინა. მნიშვნელოვანი ზრდა ასევე გამოვლინდა ყაზბეგის (28.8 %), ლენტეხისა (17.5 პროცენტი) და მარნეულის მუნიციპალიტეტებში (11.0 %). დადებითი დინამიკა შეინიშნებოდა ასევე ქ. ქუთაისსა (9.0 %) და ქ. რუსთავში (5.6 %).

2014 წელთან შედარებით მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა ხულოს (29.9 %) და შუახევის (26.2 %) მუნიციპალიტეტებში. მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია შეინიშნებოდა ასევე ცაგერის (18.2 პროცენტი), წყალტუბოს (15.1 %) და ტყიბულის (14.9 %) მუნიციპალიტეტებში. საქართველოს მოსახლეობის 2024 წლის აღწერის საბოლოო შედეგები ადასტურებს ქვეყანაში ურბანიზაციის პროცესის გაძლიერებას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, 2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით ქვეყნის მოსახლეობის 62% ქალაქურ დასახლებებში ცხოვრობდა, ხოლო 38% – სასოფლო დასახლებებში. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ მოსახლეობის ტერიტორიულ განაწილებაში ქალაქების როლი კვლავ იზრდება. ურბანიზაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია თბილისს, სადაც 1 331 485 ადამიანი ცხოვრობს, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით მესამედს შეადგენს. დედაქალაქის დემოგრაფიული და ეკონომიკური დომინირება განპირობებულია ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო, ფინანსური და მომსახურების ფუნქციების კონცენტრაციით. რეგიონულ ჭრილში ურბანული მოსახლეობის ყველაზე მაღალი წილი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფიქსირდება, რაც ძირითადად ბათუმის, როგორც სწრაფად მზარდი ეკონომიკური და ტურისტული ცენტრის, განვითარებას უკავშირდება. ამავდროულად, საქართველოს არაერთ რეგიონში კვლავ შეინიშნება სოფლის მოსახლეობის შემცირება და მოსახლეობის გადანაცვლება მსხვილი ურბანული ცენტრების მიმართულებით. ცხადია, რომ ურბანიზაცია თანამედროვე საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი პროცესია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც მოსახლეობის სივრცით განაწილებაზე, ისე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.




სურათი 8. საქსტატის მონაცემები



სურათი 9. საქსტატის მონაცემები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2024 წლის აღწერის მონაცემებით, ქ თბილისში ცხოვრობს 1 331 485 კაცი, რაც საქართველოს მოსახლეობის 34 პროცენტს შეადგენს. მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით მეორე და მესამე ადგილს იკავებენ იმერეთის (510 741 კაცი) და ქვემო ქართლის (441 630 კაცი) რეგიონები, რომლებზეც მოდის შესაბამისად მოსახლეობის 13/11 პროცენტი.



სურათი 10-11. საქსტატის მონაცემები

დასკვნა. საქართველოს უახლესი დემოგრაფიული მონაცემები აჩვენებს, რომ ქვეყანა მნიშვნელოვანი დემოგრაფიული გამოწვევების წინაშე დგას. მოსახლეობის შემცირება ფიქსირდება მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების უმეტესობაში, გრძელდება სოფლების დაცლის პროცესი, მცირდება ახალგაზრდებისა და ბავშვების რაოდენობა, ხოლო შობადობა ბოლო წლებში მკვეთრად არის შემცირებული. ამავდროულად, ბუნებრივი მატება უარყოფითია, რადგან გარდაცვლილთა რაოდენობა დაბადებულთა რაოდენობას აღემატება. ეს ტენდენციები მიუთითებს მოსახლეობის დაბერებაზე, შიდა და გარე მიგრაციის გავლენაზე და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე. განსაკუთრებით საგანგაშოა სოფლის მოსახლეობის შემცირება და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლების ნიშნები, რაც ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაზე აისახება.

References:

1. National Statistics Office of Georgia. (2025). *2024 general population census results*. Geostat.
2. National Statistics Office of Georgia. (2025). *Demographic statistics of Georgia*. Geostat.
3. United Nations Department of Economic and Social Affairs. (2024). *World population prospects 2024*. United Nations.
4. United Nations Human Settlements Programme. (2022). *World cities report 2022: Envisaging the future of cities*. UN-Habitat.
5. Abbasali, A. A., & Berdzenishvili, N. (2022). Demographic situation and prediction of Georgia and Azerbaijan. *Central Asian Journal of Theoretical and Applied Sciences, 3*(3), 5–15.
6. Berdzenishvili, N. M. (2014). Revisiting the demographic situation in Georgia. *European Geographical Studies, 4*(4), 136–142.
7. Berdzenishvili, N. M. (2016). The history of the Georgian population. *Population Processes*, 4–9.
8. Berdzenishvili, N. M., & Dzamunashvili, G. A. (2016). The demography of the population in Telavi. *Population Processes*, 10–14.

Contemporary Challenges of Demographic and Urban Development in Georgia

Nana Berdzenishvili

Summary

The paper examines contemporary demographic and urban development challenges in Georgia. It analyzes current trends in population change, urbanization, internal migration, and the spatial distribution of the population based on data from the 2024 Population and Agricultural Census. The study reveals a continued concentration of the population in urban areas, particularly in Tbilisi, which contributes to economic growth while increasing regional disparities. At the same time, demographic aging, declining birth rates, negative natural population growth, migration, and rural depopulation remain major challenges. Population decline is observed in most municipalities and regions, accompanied by a reduction in the number of children and young people. The findings highlight the need for balanced regional and urban development policies to promote sustainable development and reduce demographic and territorial inequalities in Georgia.

Keywords: *demography, urbanization, population census, migration, reproduction.*